სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის

მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოების (45200000)

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის
სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 12[1] მუხლის და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 9 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ქუთაისი
2014 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად. (იხ.http://procurement.gov.ge/)

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

ტექნიკური დავალება

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ტერიტორიაზე დაბრკოლებათა ზოლის მოწყობა და ადმინისტრაციული კორპუსის კედლის სარემონტო სამუშაოები.

1. დაბრკოლებათა ზოლის მოწყობა მოიცავს შემდეგ ძირითად სამუშაოებს: დაბრკოლებათა ზოლის გვერდებზე 600 $მ^2$ (+/- 10$მ^2$) ფართის სარბენი ბილიკების მოწყობას, სავარჯიშო ბარიერების მოწყობას (სავარჯიშო ბარიერის ძირითადი ესკიზი და ბარიერების ზომები გამოსახულია დანართებზე). გადასახტომ ბარიერებთან აუცილებელია რბილი ქვიშის ფენების მოწყობა.

2. კედლის სარემონო სამუშაოები მოიცავს: 30 $მ^2$ კედლის ძველი (დაზიანებული) საფარის მოხსნას, გალესვას, შეფითხვასა და შეღებვას საღებავით.

პრეტენდენტი შესასრულებელ სამუშაოს განახორციელებს ქ. ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №51, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ტერიტორიაზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 დღის განმავლობაში.

შენიშვნა: დასახელებული სამუშაოს რაოდენობა გათვლილია მიახლოებით (ცდომილება +/- 3%), პრეტენდენტი ვალდებულია ფასების ცხრილი წარმოადგინოს დასახელებული სამუშაოს ერთეულის ღირებულებაზე. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

ქუთაისი **„-------" ---------- 2014 წ.**

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის ალექსი კეკელიას სახით შემდგომში –---------- შემსყიდველი, ----------(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები), შემდგომში – მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და ---------- (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ---------- (ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური ტექნიკური დავალების შესაბამისად, რომელიც შემდგომში თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს) – შემდგომში მომსახურება.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ---------- (თანხა სიტყვიერად) ლარს.

2.2. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 დღის განმავლობაში. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს მოსთხოვოს გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება, მხოლოდ ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

2.4. მხარეებს შორის ანგარიშსწორება მოხდება გაწეული მომსახურების შესაბამისად.

მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების პირობებს და მსგავსი მომსახურებისათვის უკვე არსებულ სტანდარტებს.

3.2. 3.1. პუნქტში აღნიშნული ნორმიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს გაწეული მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. ამ ხელშეკრულების ძალით გაწეული მომსახურების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ----------

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
ბ) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული პირობით;
გ) ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
ბ) მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს ინსპექტირება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიმდინარეობაზე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი
6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის
წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა
7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ყოველი დაგვიანებული დღისათვის შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყონებლივ გამოსწორება.

მუხლი 8. ინსპექტირება
8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას შესაბამის ადგილზე ახდენს შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ----------.
8.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

მუხლი 9. სხვა პირობები
9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ----------.
9.2. ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.
9.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების

საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
9.4. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.5. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ხელმოწერა	**ხელმოწერა**
ბ.ა.	**ბ.ა.**

4. გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა:

4.1. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა.
4.2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
4.3. გარდა ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა), პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი, სატენდერო წინადადების ვადა დანართი №4-ის მიხედვით.

5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი:
5.1. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 25 სამუშაო დღის განმავლობაში. ქ.ქუთაისი ავტომშენებლის 51, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის ტერიტორია

6. ანგარიშსწორების პირობები:
6.1. სატენდერო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით,
6.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
6.3. ანგარიშსწორება მოხდება შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის განმავლობაში.
6.4. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7. დამატებითი ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ განმარტებებისათვის

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ქუთაისი, სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი, ავტომშენებლის 51. საკონტაქტო პირი: სატენდერო კომისიის წევრი მერაბ ქარქაშაძე (ტელ. 577 19 81 69; (0431) 29-65-98; ელ.ფოსტა: mkarkashadze66@gmail.com)

დანართი №1 აფიდავიტის ფორმა

პრეტენდენტმა სისტემის გამოყენებით უნდა წარმოადგინოს აფიდავიტი შემდეგი ფორმით:

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე
მე, ქვემოთ ხელმომწერი, _____
(სახელი, გვარი, პ/ნ)
_____ სახელით,
(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)
წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას _____
_____
(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)
მის მიერ_____
_____
(ტენდერის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) სატენდერო წინადადების ფასი;
ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.
ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.

1) სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.
_____
(პრეტენდენტის რეკვიზიტები)
_____
(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)
_____
(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

დანართი№4

1. რეკვიზიტები:
პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
საიდენტიფიკაციო კოდი:
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
ელექტრონული მისამართი:
ბანკის კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიში:
ანგარიშის ნომერი:
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:
3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა: